საქართველოს პარლამენტი

# საქართველოს კანონის პროექტი

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე"

*კანონპროექტის დასახელება*

საქართველოს პარლამენტის წევრები: შალვა პაპუაშვილი, მამუკა მდინარაძე, ანრი ოხანაშვილი, რატი იონათამიშვილი, მაკა ბოჭორიშვილი, დავით მათიკაშვილი, თენგიზ შარმანაშვილი, ირაკლი შატაკიშვილი, სოზარ სუბარი

*კანონპროექტის ინიციატორი*

საქართველოს პარლამენტის წევრები: შალვა პაპუაშვილი, მამუკა მდინარაძე, ანრი ოხანაშვილი, რატი იონათამიშვილი, მაკა ბოჭორიშვილი, დავით მათიკაშვილი, თენგიზ შარმანაშვილი, ირაკლი შატაკიშვილი, სოზარ სუბარი

*კანონპროექტის ავტორი*

საქართველოს პარლამენტის წევრი

**რატი იონათამიშვილი** –

თანამომხსენებელი – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე

ანრი ოხანაშვილი –

*მომხსენებელი, წამყვანი კომიტეტი*

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის აპარატის უფროსი

ლევან კასრაძე –

*კანონპროექტზე კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი პირი*

საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტი

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ალექსანდრე ტაბატაძე –

პროექტი

# საქართველოს კანონი

## „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №2, 10.01.2005, მუხ. 4) დაემატოს შემდეგი შინაარსის 3[1] მუხლი:

„მუხლი 3[1]. „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვა

დაუშვებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამაში ისეთი ინფორმაციის შეტანა ან/და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლის მიერ ამ დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში ან/და ამავე დაწესებულების ტერიტორიაზე ისეთი ინფორმაციის გავრცელება ან ისეთი ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობა, რომელიც მიმართულია ადამიანის არცერთი ბიოლოგიური სქესისთვის მიკუთვნების ან/და მისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ. ამ მუხლის მიზნებისთვის ტერმინი „პოპულარიზაცია" განიმარტება „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.".

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-60 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,

2024 წლის ... სექტემბერი.